B. S. GROUP

შპს "კომპანია ბლექ სი გრუპი"

LLC "COMPANY BLACK SEA GROUP"

თარიღი: 22.01.2020

BSG-OUT-MNG-COR-0078

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

მოგახსენებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ 2017 წლის 16 ნოემბერს შპს „კომპანია ბლექ სი გრუპზე" გაიცა ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N56, ასფალტის წარმოებაზე. გარემოზე ზემოქმედების ანგარიშში განხილული იყო, რომ ასფალტის წარმოება უნდა განხორციელებულიყო გერმანული წარმოების „LINTEK CSD 1500" მობილური ტიპის დანადგარზე, რომლის წარმადობა შეადგენდა 120ტ/სთ-ში.

აქვე გაცნობებთ, რომ კომპანია გასულ პერიოდში გეგმავდა არსებული დანადგარის სხვა კერძოდ იტალიური წარმოების "ТОП ТОВЕР 300/MARINI" მობილური დანადგარით ჩანაცვლებას და წარმადობის გაზრდას, რის თაობაზეც მიმართა სამინისტროს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N2-111; 28.02.2018-ით მიღებული იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს ,,კომპანია ბლექ სი გრუპი"-ს ასფალტის ქარხანაში მობილური დანადგარის შეცვლისა და წარმადობის გაზრდის პროექტი არ დაექვემდებარებოდა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;

საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის გათვალისწინებით, ზემოთ აღნიშნულ საქმიანობაზე შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების გაცემის მოთხოვნით კომპანიამ მიმართა სამინისტროს მიმდინარე წლის 12 ივნისს. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N5-279, 21.06.2019 -ით შპს „კომპანია ბლექ სი გრუპზე" გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება ხაშურის რ-ში, სოფ. გომში ასფალტის წარმოებაზე.(დანართი N1)

გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია ფლობს რამდენიმე მობილურ ასფალტის მწარმოებელ დანადგარს, რომელთა საწამოში შეტანა და ექსპლოატაციაში გაშვება არ არის დაკავშირებული რაიმე სახის მიწის, სამშენებლო ან სხვა ტიპის სამუშაოებთან, ასევე იქიდან, რომ კომპანიას საქართველოს მასტაბით გააჩნია სამშენებლო ბაზები სხვადასხვა რეგიონში და აქტიურად მონაწილეობს ქვეყანაში მიმდინარე, როგორ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, ასევე შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პროექტებში, საჭირო ხდება ამ დანადგარების ლოკაციების ცვლილება პროექტების განხორციელების საჭიროებიდან გამომდინარე.

ასეთი ცვლილების საჭიროებიდან გამომდინარე კომპანია არ გამორიცხვას, მომავალში ამ დანადგარის კვლავ ჩანაცვლებას, რის გამოც კომპანია იტოვებს უფლებას შეინარჩუნოს მონაცვლეობით, ყველა სამინისტროსთან შეთანხმებულ დანადგარის გამოყენების უფლება.

საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 71; ტელ.: +995 322 207 474/75 ფაქსი: +995 322 207420
71 Vazha-Pshavela Ave., 0186 Tbilisi, Georgia; Tel,: +995 322 207 474/75 Fax: +995 322 207420
info@bsg.com.ge; www.bsg.com.ge

986
23.01.2020
2/6/2/42
02

გაცნობებთ, რომ მიმდინარე ეტაპზე შპს „კომპანია ბლექ სი გრუპი“ კომპანიის საჭიროებიდან გამომდინარე გეგმავს ზემოთ მითითებული დანადგარის სხვა კერძოდ, გერმანული "BENNINGHOVEN" მარკის "MBA 1250"- ტიპის მობილური დანადგარით ჩანაცვლებას 2-3 წლის ვადით, რომლის წარმადობა შეადგენს 100 ტ/სთ. დანადგარის ჩანაცვლებით ასფალტის წარმოების ტექნოლოგიური სქემა არ შეიცვლება.

ვინაიდან, ზემოაღნიშნული საქმიანობა - **ექსპლუატაციის პირობების შეცვლა** საქართველოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს მე-5 მუხლის 11-ე ქვეპუნქტის თანახმად, წამოადგენს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობას და ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა. საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წარმოგიდგენთ „დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლების“ შესახებ კორექტირებულ ინფორმაციას. დანართი N6

პატივისცემით,

ამირან მამუჭაძე

შპს „კომპანია ბლექ სი გრუპის“ დირექტორი

22.01.2020

BSG-OUT-MM-COR-0078